პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ეჭვეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 169 (19011) სამშაბათი, 24 ივლისი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

ვინ დაწინაურდა, ვინ ჩამორჩა

სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, რესპუბლიკაში 16 ივლისისათვის დამზადებული იყო 560.939 ტონა უხეში საკვები. მათ შორის 106.373 ტონა თივა, 403,134 ტონა სენაჟი, 12.038 ტონა ბალახის ფხვნილი.

მთლიანად უხეში საკვები შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დამზადების დონეს 35.805 ტონით აღემატება. მაგრამ ნაკლებია (12896 ტონით) ჩადებული სენაჟი. კარგი ბალანსია თივისა და ბალახის ფხვნილის დამზადებაში. ეს საკვები შესაბამისად შარშანდელზე მეტია მომარაგებული — 34.069 ტონა და 5.703 ტონა.

უხეში საკვები შარშანდელზე მეტი აქვთ და გეგმაც შეასრულეს მცხეთის რაიონის მეურნეობებმა. დანარჩენ რაიონებს ამ საკვების გეგმები არ შეუსრულებიათ.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში წლეულს უკეთესია თივის მარაგის შექმნის ორგანიზაცია, ეს საკვები შარშანდელზე გაცილებით ცოტაა დამზადებული საგარეჯოს, ლაგოდეხის, ახალციხის, ახალქალაქის, ყაზბეგის, ვანის, ამბროლაურის, აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, მახარაძის რაიონებში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

თიბვის ტემპი შესაბამის რესპუბლიკურ მაჩვენებლებზე ბევრად უკეთესია მაიაკოვსკის, ზუგდიდის, გორის, კასპის, წითელწყაროს, ახმეტის, ყვარლის, გარდაბნის რაიონებში.

ისეთ ყუათიან საკვებს, როგორიც სენაჟია, შარშანდელზე ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სიღნაღის, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, თეთრი წყაროს, თერჯოლის, ცხაკაიას, ხობის, წალენჯიხის რაიონებში. ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ მათს მეზობელ რაიონებში სენაჟის ჩადების გეგმა

„საკვები—84"

შესრულებული აქვთ. საერთოდ მნიშვნელოვნად მეტი სენაჟი აქვთ მარნეულის, ბოლნისის, მცხეთის, ზესტაფონის, გეგეჭკორის, ვანის რაიონების მეურნეობებს.

...

საერთოდ 11500 ტონის ნაცვლად მხოლოდ 569 ტონა აწარმოეს, ბალახის ფხვნილის წარმოების გეგმის შესრულების მხრივ შესაბამის რესპუბლიკურ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ლანჩხუთის, აბაშის, სამტრედიის, ხობის, თელავის რაიონები.

საკვების დამზადების ზაფხულის ხელსაყრელი პერიოდი მალე გავა. გარდა ამისა, ბალახიც გასათიბად აღარ ივარგებს. ამიტომ თიბვაში დღის საქმე ხვალისთვის არ უნდა გადავდოთ. „მწვანე ოლიმპის" მიმდინარეობას ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა უფრო მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესონ.

ცხარე დღეები სოფლად

გვალვაა კახეთში:

გამოცდილება და ერთსულოვნება დავუპირისპიროთ!

...

გოდეხის რაიონების მშრომელები გვალვასთან მებრძოლი რაიონული შტაბების მითითებით ყველაფერს ღონობენ, რათა მაქსიმალურად შეინარჩუნონ მოსავალი.

ყოველი დღე და ყოველი წუთი ძვირად ფასობს, განსაკუთრებით სასარგებლოა ღამით რწყვა. გვალვა თვითონ უკან არ დაიხევს. ახლა უხვმოსავლიან ზვრებს ვინც გულით არ უპატრონებს, ვინც წყლის არსებულ მარაგს მაქსიმალურად არ გამოიყენებს, პასუხი უნდა ვაგებინოთ მთელი სიმკაცრით.

გვალვას კახეთში ერთიანად დავუპირისპიროთ გამოცდილება, ვაზის სიყვარული, ერთსულოვანი მონდომება და გარჯა.

„კომუნისტის" საგუშაგო.

ბეღელშია 6. 700 ტონაზე მეტი პური

სიღნაღელებმა გეგმა გადამეტებით შეასრულეს

სიღნაღის რაიონის მემინდვრეებმა წელს კარგად მოუარეს თავთავიანი კულტურების ნათესებს და უხვი მოსავალი მოიწიეს. პურეულის მკა შემჭიდროებულ ვადებში დამთავრდა და სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის გეგმა გადამეტებით შესრულდა. სახელმწიფო ბეღელში ნაცვლად 6.550 ტონისა, მიტანილია 6.700 ტონაზე მეტი პურეული.

პურეულის დამზადება გრძელდება. ამასთან კომბინირებული საკვების ანგარიშში ათასობით ტონა მარცვლეული მიეყიდება სახელმწიფოს.

ხორბლის დამზადებაში თავი გამოიჩინეს მაღაროს, ბოდბისხევის, ვაქირის, ბოდბის კოლმეურნეობებმა.

პურეულის დამზადებასთან ერთად წარმატებით სრულდება უხეში საკვების დამზადების დავალებაც.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ქევხიშვილმა, სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ნადაშვილმა, აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ დ. ალადაშვილმა.

ცხინვალის რაიონში ვანათის სახელობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის საკვებწარმოებლებს თიბვის ცხარე დღეები დაუდგათ. მათ ზამთრისათვის დაბეტონებულ ტრანშეებში 28 ათასი ცენტნერი სენაჟი უნდა ჩადონ.

მეურნეობაში შექმნილი მექანიზებული ბრიგადა ყოველ ჰექტარ სათიბზე იღებს 215-220 ცენტნერ თონას, გეგმა კი 160 ცენტნერს ითვალისწინებს.

სურათზე: ბალახის თიბვა სენაჟის ჩასადებად.

ლ. ბუსლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სათიბში დრო ძვირად ფასობს

...

საჭირანახულო ლაშქრობის დღიური

● კურკოვანი ხილი

წლეულს რესპუბლიკის მებაღეებს გეგმის მიხედვით 520 ათასი ტონა ხილი აქვთ დასამზადებელი. ამ პასუხსაგები ამოცანის გადასაწყვეტად შემართებით ირჯებიან სამტრედიის რაიონის მებაღეები. მათ ვადაზე ადრე შეასრულეს კურკოვანი ხილის დამზადების დავალება. ეს პროდუქცია ...

● არაუშვის კარაქი

...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მოსავალი უხვი იქნება, თუ სტიქიამ არ გვიმუხთლა

...

რის, ლაგოდეხის, ზესტაფონის, თერჯოლის, ვანის რაიონების მეურნეობებში.

ადგილებზე დათვალიერების დროს გამოვლინდა ნაკლოვანებანიც. კერძოდ, კახეთის ზოგი...

პირობები, შევიმუშაოთ მევენახეობის, მძღოლებისა და მექანიზატორების მორალური და მატერიალური წახალისების ქმედითი ღონისძიებანი.

...



თუშეთი: ქამი ალორძინებისა

...

ერთობლივი ფრენა

...

საზოგადოებრივი აზრის ბარომეტრი

საქართველოს პარტიული აქტივის კრება

მეტი ყურადღება მივაქციოთ მოქალაქეთა წერილებით და ზეპირ მიმართვებში ჩამოყალიბებულ საჭიროებებს, მოთხოვნილებებს, წინადადებებს, თანამიმდევრულად აღმოვფხვრათ ბიუროკრატიზმი, ფორმალიზმი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში, დავნერგოთ მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები — ასეთი ამოცანები დაისახეს 21 ივლისს თბილისში გამართული საქართველოს პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა. კრებაზე იმსჯელეს მშრომელთა წერილებისა და განცხადებების დროული და ხარისხიანი განხილვისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხებზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მითითებათა შესაბამისად.

მოქალაქეთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობის სტილის შემდგომი სრულყოფის საჭიროებათა პრობლემების საქმიან, საფუძვლიან განხილვას ტონი მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მოხსენებამ, რომელიც წინასწარ დაეგზავნათ ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს. კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის სიტყვაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილების განყოფილების გამგის ბ. პ. იაკოვლევის, სხვა ორატორების გამოსვლებში ღრმად და ყოველმხრივ იყო გაანალიზებული საქმის ვითარება, ზუსტად განისაზღვრა ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში საქმიანობის გაუმჯობესების მაგისტრალური გზები.

წყდება ადგილზე

რესპუბლიკის პარტიული აქტივის განსახილველ საკითხს, ხაზგასმით აღნიშნეს მისმა მონაწილეებმა, პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ხალხის სამსახური, მშრომელთა ფართო მასებთან ურღვევი კავშირი კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს თავიანთ უმნიშვნელოვანეს მიზნად მიაჩნიათ, და სწორედ ეს ფა- [illegible]

ანალიზი საშუალებას გვაძლევს უფრო აქტიურად ვეძებდეთ მათი გადაწყვეტის ისეთ გზებსა და საშუალებებს, რომლებიც ზოგავს მომსვლელთა დროს, საშუალებას გვაძლევენ ეფექტიანად გადავწყვიტოთ აღძრული საკითხები, ხელს უწყობს არსებულ ნაკლოვანებათა ოპერატიულ აღმოფხვრას.

მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისაღებში [illegible]

[illegible]

ორატორებმა განაცხადეს, რომ საჭიროა მტკიცე ბრძოლა გაჩაღდეს საქმის გაჭიანურებისა და თვალისახვევის გამოვლინებათა წინააღმდეგ და ხაზგასმით აღნიშნეს: არც ერთ პასუხისმგებელ პირს არასდროს და არავითარ ვითარებაში არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ [illegible]

ყოველი წერილის მიღმა ადამიანი დგას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შარშან შემოსული 27 ათასი წერილის აღრიცხვის სტატისტიკა მოწმობს: თავიანთი ხასიათისა და შინაარსის მიხედვით ათასზე მეტი წერილი ეხებოდა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას, 1700-ზე მეტი — მრეწ- [illegible]

[illegible]

... ზე მუშაობის ეფექტიანობა შეიძლება და უნდა იყოს კიდევ უფრო მაღალი, რადგან მისი გაუმჯობესების რეზერვები გვაქვს. ამ რეზერვთაგან ძირითადი აქტივის კრების მონაწილეებმა ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრეს — მთავარია

განვამტკიცოთ მასებთან კავშირი

ადამიანებთან სისტემატურ ცოცხალ ურთიერთობაში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ერთდროულად ტაქტისა და სიმტკიცის გამოჩენას მშრომელთა ინტერესების დასაცავად, თქვეს ორატორებმა. აქ, ისევე როგორც ყველა ყველა სხვა სფეროში, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფას. ამ მიმართულებით ბევრი რამ უკვე გაკეთდა. დამკვიდრდა მოქალაქეთა მოსაზრებებისა და წინადადებების სავალდებულო აღრიცხვის [illegible]

პარტიული აქტივის კრების რეზოლუციიდან

— რეგულარულად განვიხილოთ წერილებსა და განცხადებებზე მუშაობის საკითხები პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სესიებსა და სხდომებზე, სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიებზე;

— მივაღწიოთ ყველა ორგანიზაციაში კეთილგანწყობის, გულისხმიერების, ადამიანთა საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულების ატმოსფეროს;

— გავზარდოთ ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა მოქალაქეთა წერილებსა და პირად მიმართვებზე მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის, მკაცრი კონტროლი დავუწესოთ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების გამო მიღებული გადაწყვეტილებების, კონკრეტული მიმართვების გამო დავალებების შესრულების მიმდინარეობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გავარკვიოთ რატომ არ დააკმაყოფილეს საფუძვლიანი თხოვნები იმ ორგანიზაციებში, სადაც მოქალაქეებს წინათ მიუმართავთ;

— მშრომელთა განცხადებების უხარისხო და არადროული შესწავლის ყოველი შემთხვევა განვიხილოთ როგორც პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის სერიოზული დარღვევა, ბიუროკრატიზმისა და უპასუხისმგებლობის ფაქტებს მივცეთ მკაცრი პარტიული შეფასება;

[illegible]

— განვახორციელოთ ზოგჯერ ჯერ კიდევ გავრცელებული სხვისი მოიმედეობის განწყობილების წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებანი, მტკიცედ ვეწეოდეთ განმარტებითს მუშაობას ამგვარი წერილებისა და განცხადებების ავტორებთან, ხოლო აუცილებლობის შემთხვევებში ვიღებდეთ შესაბამის ზომებს;

— პარტიულმა კომიტეტებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობის დაყენების საკითხებისადმი საბჭოთა, სამეურნეო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, სისტემატურად ისმენდნენ ბიუროს სხდომებზე ხელმძღვანელთა ანგარიშებს, მკაცრად სთხოვდნენ პასუხს მათ უპასუხისმგებლობის, მოქალაქეთა საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი ფორმალური დამოკიდებულების ყოველი ფაქტისათვის;

— მუშაობის პრაქტიკაში დავნერგოთ ყოველი კვარტალის ბოლოს წერილების განხილვის შედეგების განზოგადება, დავსახოთ მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის, დადებითი გამოცდილების დამკვიდრებისა და გავრცელების კონკრეტული ღონისძიებანი;

— პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა უნდა [illegible]

სიცოცხლე გაიმარჯვებს!

გზა მშვიდობისა, ლეიტენანტებო!

ვაჭრობის მუშაკთა დღესასწაული

„საქართველოს კომუნისტი" №7

გულდასმით შევარჩიოთ, აღვზარდოთ კადრები

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის საზეიმო სხდომა

ვარშავა. 21 ივლისს აქ გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის საზეიმო სხდომა, რომელიც პოლონეთის აღორძინების 40 წლისთავს მიეძღვნა. საზეიმო სხდომას დაესწრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი და ქვეყნის სხვა ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის მეთაურობით, მოძმე სოციალისტური ქვეყნების დელეგაციები.

სხდომაზე მოხსენება გააკეთა ვ. იარუზელსკიმ. ორმოცი წლის წინათ, განაცხადა მან, პოლონეთისათვის განთავისუფლების ზარმა ჩამოჰკრა. პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის მანიფესტმა გამოაცხადა იმედისა და შესაძლებლობათა ხანა. დღეს უკვე აღარ განვიხილავთ საკითხს: უნდა არსებობდეს თუ არა პოლონეთი? აღარ არის „დროებითი სახელმწიფო", აღარ არის „ალმოდებული საზღვარი". ეს ჩვენი წარმატების საწყაო, ჩვენი უდიდესი ისტორიული მონაპოვარია.

ეს გამარჯვება მოპოვებულია მთელი ხალხის ტრაგიკული გამოცდილების, ათასობით ცნობილი და უცნობი ჯარისკაცის, პარტიზანის, აჯანყებულისა და წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლის უმაგალითო გმირობის წყალობით. პატივს მივაგებთ მათ და მუდამ გვეხსომება ისინი.

საბჭოთა არმიის 600 ათასი მეომარი დაიღუპა პოლონეთის მიწა-წყალზე. ეს აღემატება ჰიტლერელების მიერ ოკუპირებული რომელიმე სხვა სახელმწიფოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა რიცხვს. ჩვენი 40 წლის მიღწევები უდავოა. ვერავითარი სხვა პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სამეურნეო სისტემა ვერ დაძლევდა უდიდეს ნგრევას უფრო სწრაფად და ეფექტიანად, ვიდრე ეს შეძლო სახალხო ხელისუფლებამ. უფრო მეტიც, დღეს ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმით, რომ მთელი ხალხის ძალისხმევით პოლონეთი ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე განვითარებული მრეწველობის ქვეყანა გახდა.

ჩვენი საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის საძირკველია საბჭოთა კავშირთან მტკიცე ერთიერთობა, ძმური მეგობრობა. ჩვენი ხალხისათვის მისი მნიშვნელობა ისტორიამ და თანამედროვეობამ დაადასტურეს.

ვაი-სტრატეგოსები აყენებენ სხვადასხვა თეორიას, ადგენენ უაზრო გეგმებს პოლონეთის მიმართ. სულ ახალ-ახალი უაზრო ზრახვები არარად იქცევა. მხოლოდ ერთი იდეა რჩება და იმარჯვებს — სახალხო პოლონეთი თავის ახლანდელ, ისტორიულად სამართლიან საზღვრებში. ეს ევროპის სინამდვილის ისეთივე შეუქცევადი ფაქტია, როგორიც შეუქცევადია ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების არსი. ამ საკითხზე საბჭოთა კავშირის უცვლელი, ამას წინათ კიდევ ერთხელ ცხადად დადასტურებული პოზიცია სავსებით შეესაბამება პოლონეთის სასიცოცხლო ინტერესებს.

გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ საკუთარი ტერიტორია გადააქცია ჩვენს კონტინენტზე ამერიკის უდიდეს რაკეტულ-ბირთვულ არსენალად, ჩაება შეერთებული შტატების იმპერიალისტური პოლიტიკის—კონფრონტაციის პოლიტიკის განხორციელებისათვის გამიზნულ მოქმედებაში. და ეს არის დღეს საშიშროების არსი. ანტიპოლონური რევანშიზმის კალაპოტში არიან არა მარტო სათვისტომოები, არამედ კათოლიკური წრეებიც, რომლებიც ისევ უჭერენ მხარს საეკლესიო ეპარქიებად დაყოფის 1937 წლის ფიქციას.

ჩვენ გავუძელით ეკონომიკურ შანტაჟს უწინარეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა პატრიოტიზმისა და თავდადების მეოხებით. მაგრამ პოლონეთს გაუჭირდებოდა მარტო გაეძლო ასეთი ზეგავლენისათვის, ძმური მხარდაჭერა რომ არ გაეწია საბჭოთა კავშირს, კეთილმოსურნეობა რომ არ გამოეჩინათ ჩვენს სოციალისტურ მოკავშირეებს.

იცვლება მეურნეობრიობის საშინაო და საგარეო პირობები. მათ უთუოდ უნდა მივუსადაგოთ საერთაშორისო შრომის დანაწილებაში მონაწილეობის მასშტაბი და ფორმები. მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ძალისხმევის გაერთიანებას მიეძღვნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების უმაღლესი დონის ეკონომიკური თათბირი, რომელიც ამას წინათ გაიმართა მოსკოვში. აქ მიღებულ გადაწყვეტილებებს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისათვის. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ საბჭოთა კავშირთან გრძელვადიან, ყოველმხრივ თანამშრომლობას, რომლის მძლავრი საფუძველია სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების 2000 წლამდე პერიოდისათვის გათვალისწინებული გრძელვადიანი პროგრამა, რომელსაც ამას წინათ მოვაწერეთ ხელი, ხაზი გაუსვა ვ. იარუზელსკიმ.

მოძმე სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა სახელით გამოვიდა ნ. ა. ტიხონოვი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს სახელით მან გულითადად მიულოცა პოლონელ ხალხს დღესასწაული და უსურვა წარმატებანი ქვეყნის სოციალისტურ განვითარებაში, კეთილდღეობა და ბედნიერება.

პოლონეთის აღორძინება, თქვა ნ. ა. ტიხონოვმა, შესაძლებელი გახდა ნაცისტური გერმანიის დამარცხების, საბჭოთა არმიის, პოლონეთის ჯარის ჯარისკაცების, წინააღმდეგობის მებრძოლთა მიერ ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან ქვეყნის განთავისუფლების შედეგად.

პოლონეთი ინდუსტრიულად განვითარებულ სოციალისტურ სახელმწიფოდ იქცა. მან ნამდვილი მეგობრები და საიმედო მოკავშირეები შეიძინა, გახდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს აქტიური მონაწილე, მტკიცე რგოლი თავდაცვითი ვარშავის ხელშეკრულებისა, რომელიც აძლევს მას უშიშროებისა და არსებულ სამართლიან საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის გარანტიას.

ფაშიზმის წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლების ველზე მობილი ჩვენი ძმობა საბჭოთა კავშირისა და სახალხო პოლონეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მტკიცე საფუძველი გახდა. მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე, სასიცოცხლო ინტერესებისა და პოლიტიკური მიზნების ერთობაზე, სუვერენიტეტის ერთმანეთის პატივისცემაზე დამყარებულმა ამ ურთიერთობამ გაუძლო ყველა გამოცდას და დღესაც წარმატებით ვითარდება.

ამ თანამშრომლობის განმსაზღვრელი ფაქტორია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მჭიდრო ურთიერთმოქმედება. საბჭოთა კავშირს, ისევე როგორც სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებს, თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია მტკიცე მხარდაჭერა და ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს პოლონეთს ახლანდელ სიძნელეთა დაძლევაში.

მალე სახალხო ხელისუფლების 40 წლისთავს აღნიშნავენ ჩვენი თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოებიც. ხოლო მომავალი წლის მაისში საზეიმოდ აღვნიშნავთ ჩვენს საერთო დღესასწაულს— ფაშიზმზე დიდი გამარჯვების 40 წლისთავს, გამარჯვებისა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო განვითარების მთელ მიმდინარეობაზე.

სოციალიზმის უშიშროების საქმეს საიმედოდ ემსახურება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა კავშირი, რომლის 30 წლისთავი გაისად აღინიშნება. დარწმუნებული ვართ, რომ ეს მოვლენა ჩვენი თანამეგობრობის ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცების ნიშნით ჩაივლის.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს როლი და მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში განუხრელად იზრდება. ეს მთელი სიცხადით ცხადყო მოსკოვში ახლახან გამართულმა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების უმაღლესი დონის ეკონომიკურმა თათბირმა, რომელსაც ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენი თანამეგობრობისათვის, მსოფლიოში სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის.

მდგომარეობა მსოფლიოში, თქვა შემდეგ ნ. ა. ტიხონოვმა, სერიოზულად გამწვავდა. გაიზარდა ომის საფრთხე. ეს აგრესიული იმპერიალისტური ძალების, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის უშუალო შედეგია, რომლებსაც სოციალიზმი მიაჩნიათ მთავარ დაბრკოლებად მსოფლიო ბატონობისაკენ თავიანთი მისწრაფებების განხორციელების გზაზე. მათ გამოაცხადეს ახალი „ჯვაროსნული ლაშქრობა" სოციალიზმის წინააღმდეგ, დაისახეს აუხდენელი მიზანი — უკუღმა შეატრიალონ ის, რისი უკუღმა შეტრიალებაც არ შეიძლება. ვაშინგტონი ცდილობს დაარღვიოს არსებული სამხედრო წონასწორობა. იგი იღებს სულ ახალ-ახალ მრავალმილიარდიან სამხედრო პროგრამებს.

მაგრამ დროა ძალის პოლიტიკის აპოლოგეტებმა, ახლად მოვლენილმა რევანშისტებმა შეიგნონ: ამ გამოხდომებს უკუვაგდებდით და კვლავაც უკუვაგდებთ. არავის მივცემთ ნებას, მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას მოკავშირე სოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით, შეცვალოს ის, რის მოპოვებაც ესოდენ ძვირად დაგვიჯდა!

დღეს ერთ-ერთი ყველაზე სასწრაფოდ გადასაჭრელი პრობლემაა არ დავუშვათ კოსმოსში გამალებული შეიარაღების გავრცელება. ამ პრობლემის გადაჭრით ყველა ხალხი თანაბრად არის დაინტერესებული. საბჭოთა კავშირის მიერ შეერთებული შტატების მთავრობისათვის მიცემულ წინადადებას, რომ დავიწყოთ მოლაპარაკება ამ საკითხზე, კონკრეტული ხასიათი აქვს. საბჭოთა წინადადებების რეალიზაცია შესაძლებლობას მოგვცემდა ერთხელ და სამუდამოდ საიმედოდ გადაგვეკეტა ყველა გზა კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციისათვის, შეგვენარჩუნებინა მშვიდობიანი კოსმოსი.

დასასრულ ნ. ა. ტიხონოვმა თქვა: მოსკოვის თათბირზე მიღებული დეკლარაცია „მშვიდობის შენარჩუნება და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა" ასახავს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების კონსტრუქციულ მიდგომას მსოფლიოში პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის გაჯანსაღების პრობლემებისადმი, ხაზს უსვამს მშვიდობისა და თანამშრომლობის პირობებში ყველა სახელმწიფოს სტაბილური განვითარებისადმი ჩვენი ქვეყნების საერთო მისწრაფებას.

სეიმის საზეიმო სხდომა იმის ნათელი დემონსტრაცია გახდა, რომ პოლონელ კომუნისტებს, პოლონელ ხალხს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან, განამტკიცონ და ამრავლონ ქვეყანაში სოციალიზმის მიღწევები, რომ პოლონეთი ესწრაფვის სსრ კავშირთან, სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან კავშირის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და გაძლიერებას.

მოკლედ

ფოტოფაქტი

● დანია მშვიდობის მარში

ჰ.-დ. გენშერის ვიზიტი ირანში

● საფრანგეთი პატივი მიაგეს გმირთა ხსოვნას

● აშშ კონგრესმა მუშაობა განაახლა

მხარი დაუჭირეს დემოკრატებს

● ლიბანი დანაშაულებრივი აქტი

ვიზიტი დამთავრდა

წერილი რედაქციას

ეს სახალხო სიმდიდრეა

საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში მოწყობილმა თვითნასწავლი მხატვრებისა და ხალხური ოსტატთა ნამუშევრების რესპუბლიკურმა გამოფენამ ფართო საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. გამოფენას საფუძვლად დაედო საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის კოლექციები, რომელთაც დაემატა თვითნასწავლ მხატვართა ნამუშევრები — გრაფიკული, ფერწერული, სკულპტურული, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

ცნობილია, რომ თვითნასწავლ მხატვრებს ჩვენში, განსაკუთრებით ამ ბოლო წლების მანძილზე, დიდი გასაქანი მიეცათ. გარდა ერთობლივი გამოფენებისა, ხშირად იმართება პერსონალური ექსპოზიციები, რომელთაც მუდამ ეტანება მნახველი; აქ ბევრი რამ არის საინტერესო და მიმზიდველი — უშუალობა, გულწრფელობა, ხშირად — მახვილი დაკვირვების უნარი, დიდი სიყვარული და გატაცება, რომელიც ჩაქსოვილია ყოველ ნაწარმოებში. ამ გამოფენაზეც ბევრი ნამუშევარია ყურადღების ღირსი, ბევრი ავტორის მოხსენიება შეიძლებოდა, მაგრამ ამჟერად ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ თვით ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, უფრო სწორად, მისი დღევანდელი მდგომარეობის, მისი ბედის მიმართ.

გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატების მიხედვითაც მნახველი ადვილად დარწმუნდებოდა, რომ ეს მდიდარი მუზეუმია, მაგრამ აქ ხომ ნაჩვენებია მხოლოდ მცირე ნაწილი მუზეუმის განძისა, რომელიც არა მარტო მდიდარია, არამედ მრავალფეროვანიც. აქ გაერთიანებულია: ძველი ხალხური შემოქმედება, უმეტესწილად XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ნიმუშები, ზოგი უფრო ადრინდელიც — XVII-XVIII საუკუნეებისა; თანამედროვე ხალხური შემოქმედების ნიმუშები, რომლებიც მეტნაკლებად დაკავშირებულია ადრინდელ ტრადიციებთან; თვითნასწავლი მხატვრების ნამუშევრები (ზოგი რამ ამ გამოფენიდან უკვე მუზეუმის ექსპონატად გადაიქცევა).

მუზეუმს ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. თვით ჩვენი ხალხური ხელოვნება ხომ უხსოვარი დროიდან არსებობს. მისი ნიმუშები მოიცავს ქანდაკებასაც (სხვა რომ არაფერი იყოს საკმარისია გავიხსენოთ სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი საფლავის ქვების რელიეფები), მხატვრობასაც (ხალხური ნაკადი თავს იჩენს მონუმენტურ ფერწერაშიც), ჭედურ ხელოვნებას, ქსოვილებსა და ნაქარგობას, საყოფაცხოვრებო ნივთებს, კერამიკულსა და ლითონის ჭურჭელს, თარილს, ხალიჩებს, ტანსაცმელს, ავეჯს და სხვ., რომელთა ნიმუშებიც უმეტესად საქართველოს მთიანეთში შემოგვრჩა. XIX საუკუნეში საქართველოს სოფლებშიც და ქალაქებშიც ჯერ კიდევ ხალხური ხელოსნობის ბევრი მნიშვნელოვანი ტრადიციული ცენტრი არსებობდა, რომლებსაც თანდათან ავიწროებდა და საფრთხეს უქმნიდა საფაბრიკო-საქარხნო პროდუქციის კონკურენცია; ცხადია, ამ ტრადიციული მხატვრული ხელოსნობისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაცხოველდა გასული საუკუნის ბოლოს, საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურების პირობებში.

1901 წელს თბილისში დაარსდა კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტი, რომლის მოქმედების არე მთელ კავკასიას მოიცავდა, ჩრდილოეთ კავკასიის ჩათვლით. კომიტეტი მიზნად ისახავდა ხალხური მხატვრული სარეწების შესწავლასა და მისთვის ხელშეწყობას. კომიტეტმა წარმოებაც მოაწყო და ხალხური ხელოვნების ნიმუშების, უმეტესწილად ხალიჩების ექსპორტსაც ეწეოდა. კომიტეტთან შექმნილ მუზეუმში თანდათან მდიდარმა კოლექციებმა მოიყარა თავი. პირველი მსოფლიო ომის დროს მუზეუმი ღიდ განსაცდელში აღმოჩნდა — იგი ევაკუირებულ იქნა ჩრდილოეთ კავკასიაში და მისი ექსპონატების ნაწილი (ძვირფასი ხალიჩები) თეთრგვარდიელებმა მიიტაცეს და უცხოეთში გაიტანეს. 1927 წლიდან მუზეუმი საოლქო კავშირის სისტემაში იმყოფებოდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად არ ფუნქციონირებდა, რამდენადაც მისი ადგილსამყოფელი — ანჩისხატის ეკლესია — გამოფენის მოწყობის საშუალებას არ იძლეოდა. 1960 წლიდან მუზეუმი კულტურის სამინისტროს გამგებლობაშია და მას შეუერთდა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან არსებული ხალხური ხელოვნების მუზეუმი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მუზეუმის ფონდები შეივსო და გამდიდრდა ძვირფასი ექსპონატებით.

ამჟამად მუზეუმში 10 ათასამდე ექსპონატია, მათ შორის ბევრია დიდი მხატვრული ღირებულების მქონე. გარდა თვითნასწავლ მხატვართა ხსენებული ნამუშევრებისა, აქ წარმოდგენილია ხალხური კერამიკა, ვერცხლის ნაკეთობანი (მაგალითად, ცნობილი ქართველი ოსტატების მამულაშვილების, ძმები ჯიქიების, ხანდამაშვილის, ძამაშვილის და სხვათა ნამუშევრები), ახალციხური გრეხილი ვერცხლის დიდი კოლექცია, ბრინჯაოს ძველი ჭურჭელი, ნაქარგობა, ქსოვილები, ლურჯი სუფრები, რქისა და ძვლის მხატვრულად დამუშავებული ნივთები, ხალიჩები (მათ შორის ძალზე ძველი, ფრიად ძვირფასი ხალიჩის ფრაგმენტები) და სხვ. გარდა ქართული მასალისა, ბევრია აღმოსავლური (თურქული, ირანული), აზერბაიჯანული, ჩრდილოკავკასიური (კერძოდ, დაღესტნური) ნივთიც. ექსპონატებს შორის არის ზოგი ისეთი, რომელთაც უმაღლესი ჯილდოები აქვს მიღებული საკავშირო და მსოფლიო გამოფენებზე (მაგალითად, 1925 წელს პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე პირველი პრიზი დაიმსახურა მუზეუმში დაცულმა ერთმა ხალიჩამ, ასევე პირველი ჯილდო მიიღეს დ. ძამაშვილისა და ზ. ფანცულაიას მიერ შესრულებულმა ვერცხლის ხანჯლებმა და სხვ.).

თავისი შინაარსით, სიმდიდრით ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც დღესაც საკმაო სისრულით წარმოგვიდგენს საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების ტრადიციული შემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს, შეიძლება გადაიქცეს და უნდა გადაიქცეს კიდეც ჩვენი დედაქალაქის თვალსაჩინო კულტურულ კერად, რომელსაც, სხვა ფუნქციებთან ერთად, დიდი ზნეობრივ-აღმზრდელობითი ფუნქციაც ეკისრება. იგი მარტო განძთსაცავი კი არ არის, არამედ მას ევალება ახალი შემოქმედება შთააგონოს ახალგაზრდობას, ამავე დროს აქტიურად შეუწყოს ხელი ხალხური ხელოვნების რელიკვიების დაცვას, შეკრებას და — ეს არის განსაკუთრებით ხაზგასასმელი — სიცოცხლე შეუნარჩუნოს ამ ხელოვნების ზოგიერთ შტოს, რომლებიც უკვე დავიწყებას მიეცა ან გაქრობის პირას არის მისული.

საკითხი მართლაც ძალიან მწვავეა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღევანდელი ხალხური კერამიკის მდგომარეობა შეშფოთებას იწვევს: ყველაზე უმცროსი ასაკის ოსტატები 50-55 წელს არიან მიტანებული, უფროსები დაბერდნენ და ვერ მუშაობენ, ახალგაზრდებს კი არავითარი სტიმული არ გააჩნიათ, რომ მამა-პაპის ტრადიცია გააგრძელონ. ადგილებზე მათ არათუ არ ეხმარებიან, არამედ — რაღაც კანონების მომიზეზებით — ზოგჯერ აქტიურადაც კი უშლიან ხელს, თუკი ისინი მოისურვებენ ამ საქმეს მოჰკიდონ ხელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გავა კიდევ ორი ათეული წელი და სოფლად ქართული ხალხური კერამიკის წარმოება მთლიანად ჩაკვდება.

დაიკარგა ოქრომკედით მუშაობის ტექნიკა, ახალციხური გრეხილი ვერცხლის ტექნიკა, ჩაკვდა მხატვრული ჭედვა (ვგულისხმობთ ისეთ ნივთებს, როგორიც არის ბულსაკიდები, მასრები, ბუხრის გისოსები, კარის ანჯამები — ეს ყველაფერი ხომ აგრეთვე მხატვრული ხელოსნობის საგანს შეადგენდა!). სასწრაფოდ ესაჭიროება მიხედვა და აღდგენა ფარდაგების ტრადიციული ორნამენტით ქსოვას, საბელნძის ჭურჭლის დამუშავებას, გიშრის წარმოებას და ბევრ სხვა დარგს. მუზეუმის ზოგი მშვენიერი ექსპონატი, რომლებიც სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ არის შესრულებული, დღეს უკვე წარსულის კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც ასეთ ნივთს დღეს უკვე ვეღარავინ შექმნის.

რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია, რომ ჩვენს პირობებში, როდესაც ეროვნული შემოქმედებითი მემკვიდრეობა და ხალხური შემოქმედება სახელმწიფოს საგანგებო ზრუნვის საგანია, ხალხური ხელოვნების მნიშვნელოვან დარგთა დაცვა-გადაგვარების ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდეს. ამ პროცესის შესაჩერებლად უნდა განხორციელდეს გადაუდებელი, კომპლექსური ხასიათის ღონისძიებანი, რომლებიც გაითვალისწინებს ორგანიზაციულ საკითხებსაც (ოსტატების მატერიალური წახალისება, წარმოების ორგანიზაციის შესაფერისი ფორმების გამოძებნა, ესე იგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ექსპონატების სისტემური შეკრების გაგრძელება და ინტენსიფიკაცია) და სულიერ, მორალურ საკითხებსაც.

ამასთან, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია აგრეთვე თვით მუზეუმის დღევანდელი მდგომარეობის საკითხიც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. იგი მოთავსებული იყო ძველი თბილისის უბანში, ისტორიულ კალაში, შეუფერებელ და მოძველებულ შენობაში, რომელიც დღეისათვის, ტაინგრია და საჭირო გახდა ექსპონატების სასწრაფოდ „გადახიზნვა" დროებით გამოყოფილ სათავსში, მაგრამ ამით ხომ არ გადაჭრილა ამოცანა, ეს დროებითი, იძულებითი ღონისძიებაა ექსპონატების გადასარჩენად. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი დედაქალაქის მესვეურები გაითვალისწინებენ ამ უმდიდრესი მუზეუმის სამომავლო პერსპექტივებსაც და შეძლებენ მოუძებნონ გამოძებნონ შესაფერისი შენობა აღორძინებულ ძველ თბილისში, შენობა, რომელშიც მუზეუმი ფართოდ გაშლის და ფართო საზოგადოებრიობას მთელი სისრულით წარმოუდგენს თავის განძს. გარდა ვრცელი საექსპოზიციო დარბაზებისა, მას, ისევე როგორც ყოველ მუზეუმს, ესაჭიროება სათანადო საცავები, სათავსები ლაბორატორიებისათვის, სარესტავრაციო სახელოსნოები, ოთახები მეცნიერ-მუშაკთათვის (მუზეუმს ხომ სამეცნიერო-საკვლევი ფუნქციაც აქვს!). თუ მუზეუმი ასეთ მყარ ბაზას მოიპოვებს, იგი შეძლებს ნორმალურად წარმართოს როგორც საკვლევი, ისე შემკრებლობითი მუშაობაც, რომ აღარაფერი ვთქვათ საკუთრივ გამოფენების გამართვაზე, იგი შეძლებს უფრო აქტიურად ჩაებას ჩვენი ხალხური შემოქმედების ამ მწვავე სადღეისო პრობლემების გადაჭრაშიც, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ეს გადაუდებელი საქმეა და მასაც უნდა ეშველოს, სანამ არ დაგვიანებულა!

ვახტანგ ბერიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;
დავით ციციშვილი,
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, პროფესორი.

არგონავტების კვალდაკვალ

„არგო" ოქროს საწმისის ქვეყანაში



ლაშიჭალის სიკეთე

გამარჯვებული დუნოპში

ჩვენი ტელეეკრანიდან

მოსკოვი

თბილისი

სატურნირო ორბიტა

ომისდროინდელი რვეულიდან

თბილისის ღამე

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

პატივცემულო მომხმარებლებო!

„მეგობრობა—84"